



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ეროზია

ეროზია ნიადაგისა, ნიადაგის ჩამორეცხვა და გადარეცხვა წვიმის, გამდნარი თოვლის და სარწყავი წყლით (წყლისმიერი ე.) ან დაშლა და გადატანა ძლიერი ქარით (ქარისმიერი ე.). წყლისმიერი ე-ის გამოვლინებას ხელს უწყობს მთაგორიანი რელიეფი და წვიმები, ხოლო ქარისმიერს – ძლიერი ქარი, ტყის გაჩეხვა, ნიადაგის არასწორი დამუშავება და სხვა. არჩევენ ნიადაგისა და ქვეფენილი ქანების ზედაპირულ (სიბრტყით) და სიღრმით (ხაზობრივ) ე-ს. ზედაპირული (სიბრტყით) ე. თვალით ძნელად შესამჩნევია. სიღრმითი ე-ის განვითარების შედეგად დამუშავებულ ფერდობებზე წარმოიქმნება სხვადასხვა სიღრმის წყალნალარები, რ-ებიც საჭიროებენ ნიადაგის ზედაპირის მოსწორებას. დროთა განმავლობაში წყალნალარები ღრმავდება და ღარტაფებად და ხრამებად გარდაიქმნება. სარწყავ მიწებზე არასწორი რწყვის შედეგად ვითარდება ირიგაციული ე. ე-ის განვითარების შედეგად ფორმირდება სუსტად, საშუალოდ, ძლიერ და უძლიერესად ჩამორეცხილი ნიადაგები. ე-ის განვითარების შედეგად უარესდება ნიადაგის ფიზ.-ქიმიკ. თვისებები, სტრუქტურა, მცირდება მისი ნაყოფიერება და მოსავალი. სას.-სამ. კულტურათა მოსავლიანობა სუსტად ჩამორეცხილ ნიადაგზე ჩამორეცხავ ნიადაგთან შედარებით კლებულობს 10-30%-ით, საშუალოდ ჩამორეცხილ ნიადაგებზე – 30-50%-ით, ძლიერ ჩამორეცხილ ნიადაგებზე კი – 50-70%-ით. საქართველოში წყლისმიერი ე. გავრცელებულია გორაკ-ბორცვიან და მთიან ზონებში – ზემო იმერეთში, რაჭაში, აფხაზეთში, აჭარაში, შიდა ქართლში და სხვ.; ქარისმიერი ე. – გარე კახეთში, შირაქში, შიდა და ქვემო ქართლში, ჯავახეთში. ირიგაციული ე. – ზემო სამგორის, თეზი-ოკამისა და სხვა სარწყავი სისტემების არეალებში. ქარისმიერი ე-ის (დეფლაციის) განვითარებისას ხდება ნიადაგის, ზოგჯერ კი ქვეფენილი ქანების ზედაპირული ფენის ახვეტის, გადატანისა და სხვა ადგილებზე დაფენის (დალექვის) პროცესი. ქარისმიერი ე. აშრობს ნიადაგს, მიანდება ნათესები. ნიადაგის ე-ის წინააღმდეგ იყენებენ ბრძოლის ღონისძიებათა კომპლექსს, რ-იც მოიცავს ტერიტ. სწორ ორგანიზაციას, ნიადაგდაცვით თესლბრუნვას,

საძოვრებზე ნაკვეთმორიგებით ძოვებასა და სხვ.; ტარდება აგროტექ., აგრომელიორ. და სატყეო-მელიორ. ღონისძიებანი. 12°-მდე დაქანებულ ფერდობებზე ზედაპირული ჩამონადენის რეგულირებისათვის ეწყობა წყალგამყვანი, წყალშემკრები და წყალამრიდი კვლები, ნაკვეთები იხვნება კონტურული წესით. 12°-ზე მეტი დაქანების ფერდობებზე ეწყობა ხელოვნური ტერასები, რ-ზეც აშენებენ ბალ-ვენახებს. ნიადაგის ეროზიისაგან დაცვისა და მისი ნაყოფიერების აღდგენის საკითხებზე კვლევა მიმდინარეობს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის: მ. საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის (ყოფ. საქართველოს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი მ. საბაშვილის სახელობისა), ი. ლომოურის მიწათმოქმედების (ყოფ. საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ი. ლომოურის სახელობისა), ვ. გულისაშვილის სატყეო (ყოფ. სამთო მეტყევეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ვ. გულისაშვილის სახელობისა), კ. ამირაჯიბის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის (ყოფ. საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი კ. ამირაჯიბის სახელობისა) ინსტიტუტებში, ასევე ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტში და სხვ.

ლიტ.: ა მ ბ ო კ ა ძ ე ვ., ნიადაგის ეროზიის სანინააღმდეგო ღონისძიებანი საქართველოში, თბ., 1962; მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი ვ., ეროზიის სანინააღმდეგო ღონისძიებები, თბ., 1972; М и р ц х у л а в а Ц. Е., Водная эрозия почв, Тб., 2000.

ვ. გოგიჩაიშვილი
